

ISET MA Program in Economics
Policy Institute

International School of Economics at Tbilisi State University

საჭიროების ინდექსის ხელახალი შეფასება - პროექტის
რეპორტი

ნიკოლოზ ფხაკაძე
ვარლამ კვანტალიანი
ვასილ წაქაძე

სარჩევი

1. მეთოდის ზოგადი აღწერა.....	3
2. კალორიული საჭიროებები.....	5
2.1 საკვების საჭიროება.....	6
2.2 მომვლელის საჭიროება.....	7
3. არაკალორიული საჭიროებები	9
3.1 სპეცსაშუალებების საჭიროება.....	11
3.1.1 ბავშვის საფენები	12
3.1.2 ჭოჭინა, მანეჟი და სხვა მსგავსი ინვენტარი	12
3.1.3 საბავშვო ბაღი.....	12
3.1.4 სკოლა	13
3.1.5 სპეცსაშუალებები შშმპ-ებისთვის	15
3.1.6 სპეცსაშუალებების საჭიროების შეჯამება	16
3.2 სამედიცინო მომსახურების საჭიროება	18
3.2.1 მედიკამენტების საჭიროება	19
3.2.2 მონიტორინგის საჭიროებები.....	24
3.2.3 რეაბილიტაციის საჭიროებები.....	25
3.3 საბოლოო სამედიცინო საჭიროებები	26
4. საბოლოო საჭიროების კოეფიციენტები.....	27
4.1 ძველ კოეფიციენტებთან შედარება.....	28

პროექტის მიზანია 2004 წელს ექსპერტულ-ნორმატიული მეთოდით განსაზღვრული საჭიროების ინდექსის კოეფიციენტების რევიზია. 2004 წლის ექსპერტულ-ნორმატიული შეფასებისათვის დოკუმენტში გამოვეყნებთ ისეთ ტერმინებს როგორცაა „წინა შეფასება“, „ძველი მეთოდი“ ან სხვა მსგავსი შინაარსის ფრაზას. კოეფიციენტების გამოთვლაში გამოყენებულია სხვადასხვა საქონლის ფასები, ასევე იმდერონდელი ბიუჯეტი და ფასები. რა თქმა უნდა 10 წლის განმავლობაში ეს ყველაფერი შეიცვალა და ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად. რეპორტში ჩვენ ვაჩვენებთ როგორ გამოვიყვანეთ ახალი კოეფიციენტები და ასევე თითოეულ ნაბიჯს შევადარებთ იმას თუ როგორ იყო ეს გაკეთებული წინა მეთოდში.

1. მეთოდის ზოგადი აღწერა

მეთოდოლოგიის მიზანია სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის გაზომოს საარსებო მინიმუმი თუკი საზომი ერთეულია ჯანმრთელი 30-39 წლის მამაკაცის საარსებო მინიმუმი. კატეგორიები აღებულია ადამიანის სქესის, ასაკის (დაყოფილია შემდეგ ინტერვალებად: 0-3 (48 თვეზე ნაკლები) 4-6 (48 იდან 84 თვემდე), 7-12, 13-17, 18-29, 30-39, 40-59, და 60+) და სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით (ჯანმრთელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (შემდგომში შშმ ბავშვი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - I ჯგუფი (შშმ - I ჯგუფი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - II ჯგუფი, დევნილი, სარეცელეს მიჯაჭვული, მარტოხელა პენსიონერი, ფეხმძიმე, მეძუძური, მარტოხელა მშობელი და ობოლი). ქვემოთ მოყვანილ პირველ ცხრილში შეჯამებულია ყველა ის კატეგორია რომელსაც მეთოდოლოგია განიხილავს.

ცხრილი 1: ყველა კატეგორია, 0 უჯრაში ნიშნავს რომ მეთოდოლოგია არ განიხილავს ამ უჯრით განსაზღვრულ კატეგორიას

	(0-3)	(4-6)	(7-12)	(13-17)	(18-29)კ	(30-39)კ	(40-59)კ	(60+)კ	(18-29)ქ	(30-39)ქ	(40-59)ქ	(60+)ქ
ჯანმრთელი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
შშმ ბავშვი	1	1	1	1	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ - I ჯგუფი	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	1	1
შშმ - II ჯგუფი	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	1	1
დევნილი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სარეცელზე მიჯაჭვული	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	1	1
ფეხმძიმე	0	0	0	1	0	0	0	0	1	1	1	0
მეძუძური	0	0	0	1	0	0	0	0	1	1	1	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	1	0	0	0	0	1	1	1	0
ობოლი	1	1	1	1	0	0	0	0	0	0	0	0

ადამიანის საჭიროებები გაყოფილია ორ მთავარ ჯგუფად: კალორიული და არაკალორიული საჭიროებები. კალორიული საჭიროებები შედგება საკვების საჭიროებისგან და მომვლელის საჭიროებისგან. არაკალორიული საჭიროებები შედგება ტრანსპორტირების, სამედიცინო მომსახურების, სპეცსაშუალებების და სხვა საჭიროებებისგან. სამედიცინო და სპეცსაშუალებების საჭიროებებს აქვთ ქვეჯგუფები და მათ ქვემოთ განვიხილავთ. საჭიროებების ასე დაჯგუფება გამოწვეულია იმით რომ, ყველა საჭიროება კალორიულ საჭიროებაში კალორიებშია გაზომილი. არაკალორიული საჭიროებები გაზომილია ლარებში. თითოეული კატეგორიისთვის ყველა საჭიროება, ლარებში იქნება ის გაზომილი თუ კალორიებში, გადაყვანილია კოეფიციენტებში და შემდეგ მიღებული კოეფიციენტები იკრიბება. თუ როგორ ხდება კოეფიციენტებში გადაყვანა აღწერილია ქვემოთ.

გამოთვლების ეფუძნება კანონს „საარსებო მინიმუმის გამოთვლის წესის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც საქსტატი ყოველთვიურად ითვლის საშუალო სტატისტიკური ადამიანისა და ჯანმრთელი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმს. ეს უკანასკნელი მოიცავს 30-39 წლის ჯანმრთელ მამაკაცს, რომლის საარსებო მინიმუმიც ჩვენი საზომი ერთეული. ინდექსის გამოთვლისას, ჯანმრთელი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი იყო 149.6 ლარი თვეში. წინა შეფასებისას რომელიც 2004-ში ჩატარდა, ეს მაჩვენებელი 130 ლარის ტოლი იყო.

საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდს არსებითი მნიშვნელობა აქვს საჭიროების ინდექსის ექპერტულ-ნორმატიული მეთოდის გასაგებად. დეტალებისთვის საქსტატის ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ „შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი“

(http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/saaresebo%20minimumis%20ganarisheba.pdf)

საარსებო მინიმუმის 70% განსაზღვრულია საკვებისთვის რომელიც აუცილებელია კალორიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დარჩენილი 30% (ჯამში 44.88 ლარი) განკუთვნილია არაკალორიული საჭიროებებისთვის. აღსანიშნავია რომ წინა მეთოდში კალორიული საჭიროებებისთვის 70%-ის მაგივრად 65% იყო გამოყენებული. დაშვებულია რომ 30-39 წლის ჯანმრთელ მამაკაცს არ სჭირდება მომვლელი და სპეციალულებები. მისი საარსებო მინიმუმის 30% განაწილებულია ტრანსპორტირების, სამედიცინო მომსახურების და სხვა საჭიროებებზე. წინა მოდელში არაკალორიული საჭიროებები სხვანაირად იყო დაჯგუფებული, მისი 11.11% განკუთვნილი იყო ტრანსპორტირებისთვის, 4.44% ტელეფონისთვის, 11.12% სხვა მომსახურებებისთვის, 22.22% ტანსაცმლისთვის, 22.22% სამედიცინო მომსახურებისთვის, 6.67% გადასახადებისთვის და 22.22% სხვა დანახარჯებისთვის. რადგან ჩამოთვლილთაგან მხოლოდ სამედიცინო და ტრანსპორტირების მომსახურებას აქვს გავლენა საჭიროების კოეფიციენტებზე, მათ გარდა ყველა სხვა ჩავსვით სხვა საჭიროებებში. შევფასეთ რა 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის სამედიცინო საჭიროება (იხილეთ ქვესექცია 3.2) და 2013 წლის დანახარჯების სტრუქტურა, ჩვენ გადავწყვიტეთ არაკალორიულ საჭიროებებში სამედიცინო საჭიროების წილი აგველო 25%-ის ტოლი (11.22 ლარი, ამ თანხის 48% განკუთვნილია მედიკამენტებისთვის და 52% კი მონიტორინგისთვის) ხოლო ტრანსპორტირების საჭიროებები 20%-ის ტოლი და დარჩენილი 55% განსაზღვრულია სხვა საჭიროებებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი საჭიროებას ფარავს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა, მაგალითად როგორცაა საბავშვო ბაღის დანახარჯები, სკოლის სახელმძღვანელოების დანახარჯები და ა.შ., მიუხედავად ამისა ეს საჭიროებები არაა ამოღებული საერთო საჭიროებებიდან და ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ.

სანამ გავაგრძელებთ განვმარტოთ ფუნქციონირების განსაკუთრებული კონტიგენტი (ფგკ). კატეგორია შედის ფგკ-ში, თუ ამ კატეგორიის წარმომადგენელს ასაკის, ჯანმრთელობის, სოციალური ან პოლიტიკური მდგომარეობის გამო დარღვეული აქვს ფუნქციონირების სრულყოფილი შესაძლებლობა და საჭიროებენ დამატებით სარეაბილიტაციო საინტეგრაციო ღონისძიების ჩატარებას.

ფგკ-ს წარმომადგენლებს გააჩნიათ დამატებითი სოციალური რისკი რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მათთვის საარსებო მინიმუმის დათვლისას, როგორც სრულფასოვანი სოციალური გარანტიის საფუძველი. ფგკ-ს წარმომადგენლებს ასევე აქვთ მაღალი სამედიცინო, მომვლელის და სპეცსაშუალებების საჭიროებები.

სხვადასხვა კატეგორიებისთვის საარსებო მინიმუმის შესაფასებლად საჭიროა დაჯამდეს ამ კატეგორიის კალორიული და არაკალორიული საჭიროებები. კერძოდ, ჩვენ უნდა შევკრიბოთ საკვების საჭიროება (K_F), მომვლელის საჭიროება (K_C), სამედიცინო მომსახურების საჭიროება (K_{MS}), ტრანსპორტირების საჭიროება (K_T), სპეცსაშუალებების საჭიროება (K_{SM}) and სხვა საჭიროებები (K_O). საბოლოოდ თითოეული კატეგორიისთვის საჭიროება, N , ტოლია $N = K_F + K_C + K_{MS} + K_T + K_{SM} + K_O$. ტექნიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ დაგვჭირდა ჩვენი მიდგომის ოდნავ შეცვლა, კერძოდ განვმარტეთ სერვისის საჭიროებები K_S როგორც ტრანსპორტირების საჭიროებების, სხვა საჭიროებების და 30-39 წლის ჯანმრთელი კაცის სამედიცინო საჭიროებების ჯამი, ანუ $K_S = K_T + K_O + K_{MS}^{(30-39)M}$. საბოლოოდ თუ N -ს დავუმატებთ K_S -ს ამით N არ შეიცვლება მაგრამ მივიღებთ მის შესაკრებლად ალტერნატიულ და ჩვენთვის მოსახერხებელ გაშლას, რომელიც მოგვცემს საშუალებას შესაკრებლები შევადაროთ წინა შეფასებისას გამოყენებულ შესაკრებლებს.

$$N = K_F + K_C + K_{MS} + K_T + K_{SM} + K_O + K_S - K_S = K_F + K_C + K_{MS} + K_T + K_{SM} + K_O + K_S - (K_T + K_O + K_{MS}^{(30-39)M}) = K_F + K_C + (K_{MS} - K_{MS}^{(30-39)M}) + K_{SM} + K_S.$$

სიმარტივისთვის $K_{MS} - K_{MS}^{(30-39)M}$ ავღნიშნოთ K_M -თ და ის დავარქვათ მას ისევ სამედიცინო მომსახურების საჭიროება. საბოლოოდ მივიღებთ რომ:

$$N = K_F + K_C + K_M + K_{SM} + K_S.$$

2. კალორიული საჭიროებები

კალორიული საჭიროებები შედგება საჭიროებების ორი ქვეჯგუფისგან: საკვების საჭიროებები და მომვლელის საჭიროებები. საკვები საჭიროება რატომაც კალორიულ საჭიროებებში ცხადია და ის რომ მომვლელის საჭიროებაც კალორიულ საჭიროებებში შედის გამოწვეულია იმით რომ მომვლელის საჭიროება კალორიებში გამოისახება.

კალორიების კოეფიციენტებში გადათარგმნა ხდება შემდეგნაირად: საარსებო მინიმუმის 70%-ს შეადგენს კალორიული საჭიროებები, რაც 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცისთვის

თვეში 2230*(თვეში დღეების რაოდენობაზე)კალორის ტოლია (დღეში 2230კალორია), და რადგანაც 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმი ჩვენთვის საზომი ერთეულია და 1 ის ტოლია მისი 70% იქნება 0.7-ის ტოლი, ანუ კოეფიციენტებში გადათრგმნილი(გადაყვანილი) 2230*(დღეში თვეების რაოდენობა) კალორია არის 0.7. ზოგადად X კვალ დღეში კოეფიციენტებში გადადის შემდეგნაირად:

$$0.7 * \frac{X * (\text{თვეში დღეების რაოდენობა})}{2230 * (\text{თვეში დღეების რაოდენობა})} = 0.7 * \frac{X}{2230}$$

2.1 საკვების საჭიროება

თუ ადამიანს დღეში ჭირდება X კალორია, მაშინ მისი კოეფიციენტი იქნება $0.7 * \frac{X}{2230}$. მეორე ცხრილში მოცემულია სხვადასხვა კატეგორიებისთვის საკვების სახით მისაღები კალორიები, ანუ საკვები საჭიროებები. მაგალითად 10 წლის ბავშვისთვის კოეფიციენტი იქნება $0.7 * \frac{1800}{2230} = 0.565$

ცხრილი 2: საკვების საჭიროება

კატეგორია	კვალ დღეში
(0-3)	1400
(4-6)	1650
(7-12)	1800
(13-17)	2400
(18-29)კ	2360
(30-39)კ	2230
(40-59)კ	2090
(60+)კ	1890
(18-29)ქ	1860
(30-39)ქ	1800
(40-59)ქ	1750
(60+)ქ	1650
შშმ ბავშვი	1890
შშმკ - I ჯგუფი	1890
შშმკ - II ჯგუფი	1890
დევენილი	1890
სარეცელზე მიჯაჭვული	1750
მარტოხელა პენსიონერი	1700
ფეხმძიმე	2210
მეძუძური	2335
მარტოხელა მშობელი	1890
ობოლი	1800

თუ პირი ერთდროულად ეკუთვნის რამდენიმე კატეგორიას რომლებსაც განსხვავებული საკვების საჭიროება აქვთ, ჩვენ ვუშვებთ რომ ამ პირის საკვები საჭიროება იქნება ამ რამდენიმე კატეგორიის საკვების საჭიროებებიდან უმაღლესის ტოლი. ეს არის ე.წ. „უმაღლესი ფარავს უმცირესს“ პრინციპი. მაგალითად თუ განვიხილავთ 15 წლის შშმ ბავშვს, მისი საკვების საჭიროება როგორც შშმ-ს საჭიროება დღეში 1890 კკალ-ის ტოლია, ხოლო როგორც 13-17 წლის ბავშვის -2400. ამ შემთხვევაში ვიღებთ ამ ორ შესაძლებელ რიცხვს შორის უმაღლესს. „უმაღლესი ფარავს უმცირესს“ გამოყენებული იყო წინა მეთოდშიც და ამ მეთოდშიც გამოვიყენებთ სხვადასხვა საჭიროების ჯგუფებისთვის, მაგრამ არა ყველასთვის. 2004 წლის შემდეგ, მონაცემები მეორე ცხრილში არ შეცვლილა, შესაბამისად კოეფიციენტებშიც ცვლილება გამოწვეულია მხოლოდ იმით რომ 2004 წლისგან განსხვავებით კალორიული საჭიროებისათვის საარსებო მინიმუმიდან 70%-ა გათვალისწინებული და არა 65%. ასევე ზოგიერთი ცვლილება გამოწვეული 2004 წელს დაშვებული მექანიკური შეცდომებით რომელიც ახლა გამოსწორებულია. საბოლოოდ საკვების საჭიროების კოეფიციენტები შეჯამებულია მესამე ცხრილში.

2.2 მომვლელის საჭიროება

ფგკ კატეგორიებიდან ზოგიერთს ჭირდება მომვლელი. მომვლელის ნორმატივის ორიენტირად აღებულია სამუშაო საათობრივი რეჟიმით დაკავებული პიროვნების (უპირატესად ქალი) ენერგოხარჯვის სიდიდე 2000კკალ დღეში, შესაბამისად $\frac{x}{24} * 2000$ კკალ ცხრილი 3: საკვების საჭიროება, კოეფიციენტები (K_F)

სტატუსი/ასაკი	(0-3)	(4-6)	(7-12)	(13-17)	(18-29)კ	(30-39)კ	(40-59)კ	(60+)კ	(18-29)ქ	(30-39)ქ	(40-59)ქ	(60+)ქ
ჯანმრთელი	0.44	0.52	0.57	0.75	0.74	0.70	0.66	0.59	0.58	0.57	0.55	0.52
შშმ ბავშვი	0.44	0.52	0.57	0.75	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ - I ჯგუფი	0	0	0	0	0.74	0.70	0.66	0.59	0.59	0.59	0.59	0.59
შშმ - II ჯგუფი	0	0	0	0	0.74	0.70	0.66	0.59	0.59	0.59	0.59	0.59
დევნილი	0.59	0.59	0.59	0.75	0.74	0.70	0.66	0.59	0.59	0.59	0.59	0.59
სარეცელზე მიჯაჭვული	0.55	0.55	0.57	0.75	0.74	0.70	0.66	0.59	0.58	0.57	0.55	0.55
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	0.74	0.70	0.66	0.59	0.58	0.57	0.55	0.53
ფეხმძიმე	0	0	0	0.75	0	0	0	0	0.69	0.69	0.69	0
მეძუძური	0	0	0	0.75	0	0	0	0	0.73	0.73	0.73	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	0.75	0	0	0	0	0.59	0.59	0.59	0
ობოლი	0.57	0.57	0.57	0.75	0	0	0	0	0	0	0	0

დღეში თუ ის დღეში x -საათს მუშაობს. ეს მიდგომა უცვლელადაა გადმოტანილი წინა

მეთოდიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომვლელზე დანახარჯები რომელიც აუცილებელი არაა იყოს დაქირავებული, შეფასებულია როგორც მომვლელის საკვები

დევილი	0.21	0.16	0.10	0.05	0	0	0	0	0	0	0	0
სარეცელზე მიჯაჭვული	0.21	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16	0.16
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	0.03	0.03	0.03	0.03	0.03	0.03	0.03	0.03
ფეხმძიმე	0	0	0	0.05	0	0	0	0	0	0	0	0
მეძუძური	0	0	0	0.05	0	0	0	0	0	0	0	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	0.05	0	0	0	0	0	0	0	0
ობოლი	0.21	0.16	0.10	0.05	0	0	0	0	0	0	0	0

წინა მეთოდთან შედარებით ცვლილებები გამოწვეული მხოლოდ საარსებო მინიმუმში კალორიული საჭიროებების წილის ცვლილებით (65% -2004 და 70% დღეს)

3. არაკალორიული საჭიროებები

არაკალორიული საჭიროებები გაზომილია ლარში და საჭიროა მათი კოეფიციენტებში გადაყვანა. რადგან 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმი ჩვენი საზომი ერთეულია მისი შესაბამისი კოეფიციენტია 1 ანუ თვეში 149.6 ლარი ითარგმნება როგორც 1, და შესაბამისად თვეში x ლარის შესაბამისი კოეფიციენტი იქნება $\frac{x}{149.6}$ ლარი.

არაკალორიული საჭიროებები შედგება ტრანსპორტირების, სამედიცინო სერვისის, სპეცსაშუალებების და სხვა საჭიროებებისგან. დაშვებულია რომ 30-39 წლის ჯანმრთელი კაცისთვის არაკალორიული საჭიროებები სრულიად (ზუსტად) იფარება საარსებო მინიმუმის 30%-ით. როგორც უკვე ავლნიშნეთ საარსებო მინიმუმს არაკალორიული ნაწილის (30%) 20% (8.98 ლარი თვეში) გათვალისწინებულია ტრანსპორტირებისთვის, 25% (11.22 ლარი თვეში) სამედიცინო მომსახურებისთვის და იქიდან გამომდინარე რომ ჯანმრთელ 30-39 წლის მამაკაცს არ აქვს სპეცსაშუალებების საჭიროება, დარჩენილი 55% (24.68 ლარი თვეში) გათვალისწინებულია სხვა საჭიროებებისთვის.

ფგკ-ს წარმომადგენლებისთვის ყველა არაკალორიული საჭიროებისთვის საარსებო მინიმუმის 30% საკმარისი არაა, კერძოდ ეს ეხება სპეცსაშუალებებისა და სამედიცინო მომსახურების საჭიროებებს. გარდა 0-3 და 4-6 წლის ბავშვებისთვის და სარეცელს მიჯაჭვულებისთვის ყველა კატეგორიისთვის დაშვებულია რომ ტრანსპორტირების საჭიროება ტოლია 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის ტრანსპორტირების საჭიროების რომელიც შეადგენს 8.98 ლარს თვეში. 0-3 და 4-6 წლის ბავშვებისთვის და სარეცელს მიჯაჭვულებისთვის ტრანსპორტირების ღირებულება ჩათვლილია 0-ის ტოლად. რაც შეეხება სხვა საჭიროებას, დაშვებულია რომ ყველა ყველა სხვა საჭიროება ერთმანეთის ტოლია და შეადგენს 24.68 ლარს თვეში.

რაც დარჩა ესაა სხვადასხვა კატეგორიებისთვის სპეცსაშუალებების და სამედიცინო მომსახურების დამატებითი საჭიროებების შეფასება, რაც შემდეგ ორ ქვეთავშია გაკეთებული. დამატებით საჭიროებაში ვგულისხმობთ იმ საჭიროებას რასაც ვერ ფარავს 30-39 წლის

ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმში ამ საჭიროებებისთვის გათვალისწინებული თანხა. რადგან 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმში სამედიცინო მომსახურების საჭიროებისთვის გათვალისწინებულია 11.22 ლარი თვეში, კონკრეტული კატეგორიისთვის დამატებით სამედიცინო მომსახურების საჭიროებაში იგულისხმება ის რაც ამ კონკრეტულ კატეგორიის წარმომადგენლებს ჭირდებათ თვეში 11.22 ლარს ზევით. ანალოგიურად სპეცსაშუალებების დამატებით საჭიროებაში ვგულისხმობთ ის რაც სხვადასხვა კატეგორიებს ჭირდებათ 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმში სპეცსაშუალებების საჭიროებისთვის გათვალისწინებული თანხის ზევით, ანუ 0 ლარის ზევით. მომსახურების საჭიროებით ავღნიშნოთ ტრანსპორტირების საჭიროების, სხვა საჭიროების და 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის სამედიცინო მომსახურების საჭიროების (11.22 ლარი) ჯამი და ზემოთ ნახსენებ სხვა მონაცემებთან ერთად შევაჯამოთ იგი მეექვსე ცხრილში.

ცხრილი 6: მომსახურების საჭიროება

კატეგორია	ტრანსპორტირების საჭიროება (ლარი)	სხვა საჭიროება (ლარი)	სამედიცინო მომსახურება საარსებო მინიმუმში (ლარი)	მომსახურება (ლარი)
(0-3)	0	24.68	11.22	35.9
(4-6)	0	24.68	11.22	35.9
(7-12)	8.98	24.68	11.22	44.88
(13-17)	8.98	24.68	11.22	44.88
(18-29)კ	8.98	24.68	11.22	44.88
(30-39)კ	8.98	24.68	11.22	44.88
(40-59)კ	8.98	24.68	11.22	44.88
(60+)კ	8.98	24.68	11.22	44.88
(18-29)ქ	8.98	24.68	11.22	44.88
(30-39)ქ	8.98	24.68	11.22	44.88
(40-59)ქ	8.98	24.68	11.22	44.88
(60+)ქ	8.98	24.68	11.22	44.88
შშმ ბავშვი	8.98	24.68	11.22	44.88
შშმ - I ჯგუფი	8.98	24.68	11.22	44.88
შშმ - II ჯგუფი	8.98	24.68	11.22	44.88
დევნილი	8.98	24.68	11.22	44.88
სარეცელზე მიჯაჭვული	0	24.68	11.22	35.9
მარტოხელა პენსიონერი	8.98	24.68	11.22	44.88
ფეხმძიმე	8.98	24.68	11.22	44.88
მეძუძური	8.98	24.68	11.22	44.88
მარტოხელა მშობელი	8.98	24.68	11.22	44.88
ობოლი	8.98	24.68	11.22	44.88

ლარში გამოსახული საჭიროებები უნდა გადავიყვანოთ კოეფიციენტში, მაგრამ ისევ წარმოიშვება ერთი პირის ერთდროულად რამოდენიმე კატეგორიაში მოხვედრის პრობლემა. ამ შემთხვევაში „უმაღლესი ფარავს უმცირესს“ პრინციპის გამოყენება არ იქნება მართებული. როგორც მეექვსე ცხრილიდან ჩანს მომსახურების საჭიროება სხვადასხვა კატეგორიებისთვის ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ კატეგორიების ტრანსპორტირების საჭიროებებია განსხვავებული ამიტომ რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან მაქსიმალურის აღება ნიშნავს შესაძლებელი ტრანსპორტირების საჭიროებებიდან მაქსიმალურის აღებას, რაც ბუნებრივია აზრს მოკლებულია (ვთქვათ 2 წლის დევნილი ბავშვის ტრანსპორტირების საჭიროება როგორც დევნილის არის 8.98 ლარი და როგორც ბავშვის 0 ლარი, ცხადია მართებული იქნება 0 ლარის აღება). ასეთ შემთხვევაში მინიმუმის აღება უფრო მიზანშეწონილია. მოემსახურების საჭიროების საბოლოო კოეფიციენტები შეფასებულია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 7: მომსახურების საჭიროების კოეფიციენტები K_s

სტატუსი/ასაკი	(0-3)	(4-6)	(7-12)	(13-17)	(18-29)კ	(30-39)კ	(40-59)კ	(60+)კ	(18-29)ქ	(30-39)ქ	(40-59)ქ	(60+)ქ
ჯანმრთელი	0.24	0.24	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
შშმ ბავშვი	0.24	0.24	0.3	0.30	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ - I ჯგუფი	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
შშმ - II ჯგუფი	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
დევნილი	0.24	0.24	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
სარეცელზე მიჯაჭვული	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24	0.24
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3
ფეხმძიმე	0	0	0	0.3	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0
მემუძური	0	0	0	0.3	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	0.3	0	0	0	0	0.3	0.3	0.3	0
ობოლი	0.24	0.24	0.3	0.3	0	0	0	0	0	0	0	0

3.1 სპეცსაშუალებების საჭიროება

სპეციალური საშუალების ქვეშ იგულისხმება ფგკ-ს გარკვეული კატეგორიისთვის იმ საჭირო ინვენტარის, პირადი ჰიგიენის საგნების, სახელმძღვანელოების, სასკოლო ნივთების და ადაპტირების საშუალებების შეძენის აუცილებლობა რომლის გარეშეც მათი ფუნქციონირება შეუძლებელია, ან მკვეთრად შეზღუდულია.

სხვადასხვა კატეგორიებისთვის ჩვენ განვიხილავთ შემდეგ სპეცსაშუალებებს: ბავშვის საფენი, ჭოჭინა, მანეჟი, საბავშვო ბაღი, სასკოლო სახელმძღვანელოები, რვეულები, კალმები, სასკოლო ჩანთა და ა.შ.. სპეცსაშუალებებში ასევე შედის საინტეგრაციო საშუალებები

შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის მაგალითად: სმენის აპარატი, სათვალე, ხელჯოხი, ყვარჯენი, ჭოჭინა, ეტლები, ეტლები, ორთოპედიული საშუალებები და ა.შ.

3.1.1 ბავშვის საფენები

წინა შეფასებაში სამის წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო სულ 540 საფენი, თითო 0.5 ლარად. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეცვალა საფენების რაოდენობა შემდეგი ცხრილის მიხედვით.

ასაკი (თვეებში)	0-4	4-8	8-12	12-24
საფენი (დღეში)	4	3	2	1
საფენის ზომა	3-6	4-9	7-14	11-25
საფენის ფასი (ლარი)	0.1941	0.2276	0.264	0.3143

ფასებად აღებული GPC აფთიაქების ქსელში “Pampers Sleep and Play” საფენების ფასების 80% (GPC ავირჩიეთ იმიტომ რომ ქონდათ ერთი დასახელების საფენი (და ეს იყო “Pampers Sleep and Play”) ყველა შესაძლო ზომის). არსებობს უფრო იაფიანი საფენებიც, თუმცა მათი ხარისხია სათუთა და ამას გარდა ფასებიც სხვადასხვა ადგილას საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ აგველო ცნობილი ფირმის, “Pampers”-ის ბრენდის შედარებით იაფიანი პროდუქტი (“Pampers Sleep and Play” , “Pampers”-ზე თითქმის ორჯერ ნაკლები ღირს), რომელიც ზოგიერთ ბრენდზე მაინც უფრო ძვირია მაგრამ ხარისხიანია და სარგებლობს კარგი რეპუტაციით. ამ ყველაფრის და იმის გათვალისწინებით რომ ბრენდული აფთიაქები ის ადგილი არაა სადაც ყველაზე იაფად შეიძლება ბავშვის საფენების ყიდვა ჩვენ ავიღეთ ზემოთხსენებული ფასების 80%. ჩვენი შეფასების მიხედვით 0-დან 3 წლამდე ბავშვისთვის, საბავშვო საფენების საჭიროება 356.5 ლარის ტოლია, ეს თანხა უნდა გადანაწილდეს 48 თვეზე (0-3 წელი ექვივალენტურია „48 თვემდეს“). ასე რომ 0-3 წლის ბავშვისთვის ბავშვის საფენების საჭიროება საშუალოდ არის 7.43 ლარი თვეში.

3.1.2 ჭოჭინა, მანეჟი და სხვა მსგავსი ინვენტარი

ჭოჭინა, მანეჟი და სხვა მსგავსი ინვენტარი საჭიროებაა მხოლოდ 0-3 წლის ბავშვებისთვის. წინა შეფასებით ამ ყველაფრისთვის გათვალისწინებული იყო წელიწადში 90 ლარი ანუ თვეში 7.5 ლარი. დღესდღეობით ყველაზე იაფიანი ჭოჭინა 55 ლარი ღირს ხოლო მანეჟი 100 ლარი. სხვა მსგავსი ინვენტარის ღირებულების შეფასებლად ვიყენებთ ჭოჭინის და მანეჟის ღირებულებების საშუალოს. ჯამში ამ ინვენტარზე გამოდის 232.5 ლარი, რაც უნდა გადანაწილდეს 48 თვეზე, აქედან გამომდინარე ჭოჭინა, მანეჟი და სხვა მსგავსი ინვენტარის საჭიროება შეადგენს თვეში $\frac{232.5}{48} = 4.84$ ლარს

3.1.3 საბავშვო ბაღი

ვთვლით რომ საბავშვო ბავშვის არის საჭიროება 2-, 3-, 4- და 5-წლის ბავშვებისთვის, ნაწილობრივ ეხება ჩვენი კატეგორიებიდან ორ კატეგორიას. 0-3 კატეგორიიდან საბავშვო ბავშვი სჭირდება 2 და 3 წლის ბავშვებს, რაც დაახლოებით მთელი კატეგორიის $\frac{2}{4}$ -ს შეადგენს. 4-6 კატეგორიიდან, საბავშვო ბავშვი სჭირდება 4 და 5 წლის ბავშვებს რაც მთელი კატეგორიის დაახლოებით $\frac{2}{3}$ -ს შეადგენს. წინა შეფასებაში საბავშვო ბავშვზე გათვალისწინებული იყო 90 ლარი წელიწადში, მაგრამ ეს თანხა გამორჩენილი იყო გამოთვლებში. UNICEF-ის სკოლამდელის სწავლების შესახებ 2012 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით (*comprehensive costing and finance strategies for the early learning system in Georgia*) არსებული სისტემით ერთ ბავშვზე საშუალოდ 745 ლარი იხარჯებოდა, კერძოდ თბილისში 780 ლარი ხოლო რეგიონებში - 686 ლარი (მეტი დეტალებისთვის იხილეთ თანდართული Excel-ის დოკუმენტი). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ თბილისი და რეგიონების შესაბამისი წონებია $\frac{59}{94} = 0.63$ და $\frac{35}{94} = 0.37$. ამ ხარჯებში ასევე გათვალისწინებულია კვების ხარჯები. რადგან ჩვენ კვების ხარჯები უკვე ერთხელ შევაფასეთ და შევიყვანეთ კალორიულ საჭიროებებში, იმის გამო რომ არ მოხდეს ერთი და იგივე ხარჯის ორჯერ ჩათვლა ჩვენ ბავშვის ხარჯებიდან ამოიღებთ ბავშვის კვების ხარჯებს. იგივე კვლევის მიხედვით თბილისში კვების ხარჯები იყო მთლიანი ხარჯების 42%, ხოლო რეგიონებში 22.2%, ანუ კვების გარეშე წლიური ბავშვის ხარჯი თბილისში იყო დაახლოებით 452 ლარი, ხოლო რეგიონებში 534 ლარი. ამ რიცხვებს იგივე წონებით შეწონვით მივიღებთ საქართველოში ერთ ბავშვზე წელიწადში საკვების გარეშე დანახარჯი არის 482 ლარი. 0-3 კატეგორიისთვის, საბავშვო ბავშვზე მთლიანი დანახარჯი გამოვა $2 * 482 = 964$ ლარი და გადანაწილდება 48 თვეზე, და მივღებთ რომ 0-3 კატეგორიისთვის საბავშვო ბავშვის საჭიროება თვეში განისაზღვრება $\frac{964}{48} = 20.08$ ლარით. 4-6 კატეგორიისთვის საბავშვო ბავშვის სრული ხარჯი $2 * 482 = 964$ ლარი გადანაწილდება 36 თვეზე და შესაბამისად ამ კატეგორიისთვის საბავშვო ბავშვის საჭიროება თვეში განისაზღვრება $\frac{964}{36} = 26.77$ ლარით.

3.1.4 სკოლა

ჩათვლილია რომ სკოლაში სიარული საჭიროებაა ბავშვებისთვის 6 დან 17 წლამდე, ეს შუალედი სრულად ფარავს კატეგორიებს 7-12 და 13-17 და ნაწილობრივ ფარავს 4-6 კატეგორიას. სკოლაში სიარული საჭიროებაა დაახლოებით 4-6 კატეგორიის ერთი მესამედისთვის.

წინა შეფასებაში სკოლის საჭიროება შედგებოდა სახელმძღვანელოების, რეგულაციების, კალმების, ფერადი ფანქრების პენლისა და სხვა სასკოლო ნივთებისგან. ყოველი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული იყო 12 წიგნი, თითო 6 ლარად, ამასთან კიდევ ერთი რეგული ყოველთვე 12 საგანში 9 თვის განმავლობაში, თითო 0.3 ლარად ამას გარდა გათვალისწინებული იყო 40.5 კალამი წელიწადში თითო 0.7 ლარად და ა.შ.. ჩვენ გადავწყვიტეთ უფრო ზუსტად განგვესაზღვრა სასკოლო დანახარჯები. განათლების სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე დავითვალეთ I-VI და

VII-XII კლასებში განვლილი საგნების რაოდენობა და ასევე შევაფასეთ იმ რამდენი სახელმძღვანელოა საჭირო. შემდეგ შევაფასეთ სახელმძღვანელოების საშუალო ღირებულება ცალკე I-VI კლასებისთვის და ცალკე VII-XII კლასებისთვის. ფასები აღებულია ვებ გვერდიდან www.e-bookland.ge, სადაც მითითებული ფასები ემთხვევა წიგნზე დაბეჭდილ ფასს და ასევე გამომცემლობის ვებ გვერდზე მითითებულ ფასს. I-VI კლასებისთვის სახელმძღვანელოს საშუალო ღირებულება გამოვიდა 7.75 ლარი ხოლო VII-XII კლასებისთვის 9.46 ლარი (დეტალებისთვის იხილეთ დანართი Excel-ის დოკუმენტი "textbooks"). ყველაფერი ზემოთ ნათქვამი შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

კლასი	საგნების რაოდენობა	საგნების რაოდენობა რომელშიც სახელმძღვანელოა საჭირო	სახელმძღვანელოებზე დანახარჯი 6 წლის განმავლობაში (ლარი)
I - VI	49	41	317.75
VII - XII	69	64	605.44

სახელმძღვანელოების ანალოგიურად ჩვენ ასევე შევაფასეთ იმ სპეცრვეულების საჭიროება რომლებიც ზოგიერთ სახელმძღვანელოსთვისაა განკუთვნილი მაგრამ იყიდება ცალკე. I-VI კლასებისთვის სპეცრვეული საშუალოდ 3.9 ლარი ღირს, ხოლო I-VI კლასებისთვის - 3.58 ლარი. ეს ყველაფერი შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

კლასი	საგნების რაოდენობა	საგნების რაოდენობა რომელშიც სპეც. რვეულია საჭირო	სპეც. რვეულებზე დანახარჯი 6 წლის განმავლობაში (ლარი)
I - VI	49	30	98.7
VII - XII	69	22	78.76

სპეცრვეულების გარდა სასკოლო საჭიროებები მოიცავს ჩვეულებრივ რვეულებს. ჩვენი გავითვალისწინეთ თვეში ერთი რვეული თითო 0.35 ლარად, მაგრამ მხოლოდ იმ საგნებში რომლებშიც არ აქვთ სპეცრვეულები.

კლასი	საგნების რაოდენობა	საგნების რაოდენობა რომელშიც სპეც. რვეულია საჭირო	საგნების რაოდენობა რომელშიც სპეც. რვეული საჭირო არაა	რვეულებზე დანახარჯი 6 წლის განმავლობაში (ლარი)
I - VI	49	30	19	79.8
VII - XII	69	22	47	197.4

კალმებთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვცვივლია წინა მეთოდის მიდგომა, ორი კალამი თვეში 9 თვის განმავლობაში, თითო 0.2 ლარად, ჯამში 3.6 ლარი წელიწადში. ფერადი ფანქრების ფასები ძალიან მერყეობს ამიტომ მასზე დანახარჯი ავიღეთ ორჯერ უფრო მეტი ვიდრე კალმების დანახარჯი, ანუ 7.2 ლარი წელიწადში. წინა მეთოდის მსგავსად, გათვალისწინებულია სკოლის ჩანთა, ღირებულებით 30 ლარი, რომელიც უნდა შეიცვალოს 3

წელიწადში ერთხელ, ე.ი. 10 ლარი წელიწადში. სასკოლო დანახარჯები შეფასებულია შემდეგ ცხრილში:

სასკოლო დანახარჯები	სახელმძღვანელო	სპეც. რვეული	რვეული	კალამი	ფანქრები და ა.შ.	სულ
პერიოდი თვეებში	72	72	72	12	12	1
I - VI კლასი	317.75	98.7	79.8	3.6	17.2	8.63
VII - XII კლასი	605.44	78.76	197.4	3.6	17.2	13.98

რადგანაც 7-12 კატეგორია თითქმის სრულად იფარება I-VI კლასებით, ჩვენ ვთვლით რომ 8.63 ლარის არის ამ კატეგორიისთვის ყოველთვიური სასკოლო დანახარჯები დაახლოებით 8.63 ლარის ტოლია. 4-6 კატეგორიის დაახლოებით ერთი მესამედს ეხლა I-VI კლასების დაანგარიშებული ხარჯები, ანუ ამ კატეგორიისთვის სასკოლო დანახარჯები იქნება $\frac{8.63}{3} = 2.88$ ლარი თვეში. 13-17 კატეგორია სრულად იფარება VII-XII კლასებით და აქედან გამომდინარე მათი ყოველთვიური სასკოლო დანახარჯები იქნება 13.98 ლარი.

3.1.5 სპეცსაშუალებები შშმპ-ებისთვის

მეთოდის ამ ნაწილში ზუსტად ვიმეორებთ იმას რაც იყო 2004 წელს გაკეთებული ექპერტულ-ნორმატიული მეთოდში. სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირებს გააჩნიათ სხვადასხვა საჭიროებები, ზოგს ჭირდება ეტლი, ზოგს სასმენი აპარატი სხვა ხელოვნური კიდურები და ა.შ. აქედან გამომდინარე შეუძლებელია ზუსტად დახასიათდეს რომელიმე კატეგორიის საჭიროება. თუმცა თუ კი გვეცოდინება რამდენ ადამიანს სჭირდება ერთი კონკრეტულ სპეცსაშუალება მაშინ როგორ შევაფასოთ კონკრეტული კატეგორიისთვის კონკრეტული სპეცსაშუალების საჭიროება, თუკი გვეცოდინება რომ ამ სპეცსაშუალების საჭიროება შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ამ კონკრეტული კატეგორიის წარმომადგენლებს. მაგალითად: თუ რომელიღაც კატეგორიაში 1000 ადამიანია, და მხოლოდ ამ კატეგორიის წარმომადგენელს შეიძლება ჭირდებოდეს ეტლი (მხოლოდ პირველი ჯგუფის შშმპ-ებს სჭირდებათ ეტლი, მაგრამ არა ყველა მათგანს) და ეტლებზე მოთხოვნა 200-სი ტოლია მაშინ ამ კატეგორიის საშუალო წევრს ჭირდება $\frac{200}{1000} = 0.2$ ეტლი. კონკრეტულ სპეცსაშუალებაზე მოთხოვნა შეფასებულია სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, კერძოდ კი კონკრეტული სპეცსაშუალებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის მიხედვით.

ჩვენ განვიხილავთ შემდეგი ტიპის სპეცსაშუალებებს: სპეცსაშუალებები სმენადაქვეითებულებისთვის, სპეცსაშუალებები მხედველობადაქვეითებულებისთვის, ხელჯოხი, ყავარჯენი, ჭოჭინა, ეტლი, პროთეზები და სხვა ორთოპედიული საშუალებები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში თითოეული სპეცსაშუალებისთვის მოცემულია მათთვის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა.

სმენადაქვეითე ბულთათვის	მხედველობადაქვეითებულთათვის	ხელჯოხი, ჭოჭინა	ეტლი	პროტეზები და სხვა ორთოპედიული საშუალებები
1,446,500 ლარი	4,500 ლარი	14,500 ლარი	279,000 ლარი	279,000 ლარი

ზემოთ ჩამოთვლილი სპეცსაშუალებები გათვალისწინებულია შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სპეცსაშუალებები

მხედველობადაქვეითებულებისთვის თანაბრადაა განაწილებული შშმ პირველ და შშმ მეორე ჯგუფზე. სპეცსაშუალებები სმენადაქვეითებულებისთვის, ხელჯოხი, ყავარჯენი და ჭოჭინა მთლიანად მიკუთვნებულია შშმ მეორე ჯგუფის საჭიროებებს. ეტლების საჭიროება მთლიანად მიკუთვნებულია შშმ პირველი ჯგუფის საჭიროებებს. პირველი ჯგუფში 22757 პირია, ხოლო მეორეში -78035. ზემოთ მოცემული ინფორმაცია შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

	სპეცსაშუალება	სმენადაქვეითებულები	მხედველობადაქვეითებულები	ხელჯოხი, ჭოჭინა	ეტლი	პროტეზები და სხვა ორთოპედიული საშუალებები	
შშმ ჯგუფი	ბიუჯეტში გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა	1,446,500	4,500	14,500	279,000	279,000	ყოველთვიური დანახარჯი (ლარი)
I	22,757	0	0.5	0	1	0.67	1.711012
II	78,035	1	0.5	1	0	0.33	1.661915

წინა მეთოდის ანალოგიურად, სპეცსაშუალებების საჭიროების შეფასებად შშმ

ბავშვებისთვის აღებულია შშმ მეორე ჯგუფის სპეცსაშუალებების საჭიროებები. საბოლოოდ სპეცსაშუალებების საჭიროება მეორე ჯგუფისთვის და შშმ ბავშვებისთვის შეადგენს თვეში 1.66 ლარს, ხოლო პირველი ჯგუფისთვის 1.71 ლარს.

3.1.6 სპეცსაშუალებების საჭიროების შეჯამება

მერვე ცხრილში შეჯამებულია სპეცსაშუალებების საჭიროება ყველა კატეგორიისთვის.

ცხრილი 8: სპეცსაშუალებების საჭიროება

ცხრილი 8	საფენი	ჭოჭინა	მანიქი	სხვა ნივთები (0-3)	საბავშვო ბაღი	სახელმძღვანელო	სპეც. რვეული	რეული	კალამი	ფანქრები და ა.შ.	სპეცსაშუალებები შშმ-ებისთვის	ყოველთვიური დანახარჯი (ლარი)
პერიოდი (თვეებში)	48	48	48	48	12	72	72	72	12	12	1	
(0-3)	356	55	100	78	235	0	0	0	0	0	0	32
(4-6)	0	0	0	0	313	10	33	27	1	6	0	29

						6						
(7-12)	0	0	0	0	0	31 8	99	80	4	17	0	9
(13-17)	0	0	0	0	0	60 5	79	19 7	4	17	0	14
(18-29)კ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(30-39)კ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(40-59)კ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(60+)კ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(18-29)ქ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(30-39)ქ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(40-59)ქ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
(60+)ქ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ჯანმრთე ლი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ ბავშვი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	2
შშმპ - I ჯგუფი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	2
შშმპ - II ჯგუფი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	2
დევნილ ი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სარეცელ ზე მიჯაჭვუ ლი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
მარტოხე ლა პენსიონე რი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ფეხმძიმე	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
მემუქურ ი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
მარტოხე ლა მშობელი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ობოლი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

შემდეგი რაც უნდა ვქნათ, არის ზედა ცხრილის კოეფიციენტებში გადათარგმნა. აქაც ვაწყდებით ერთი და იგივე ადამიანის ერთდროულად ორ ან მეტ კატეგორიაში მოხვედრის პრობლემას. ამ შემთხვევაში „უმაღლესი ფარავს უმცირესს“ პრინციპის გამოყენების მაგივრად უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმ კატეგორიების საჭიროებების შეკრება რომელშიც

ერთდროულად ხვდება განსახილველი ინდივიდი. კოეფიციენტები მოცემულია მეცხრე ცხრილში.

ცხრილი 9: სპეცსაშუალებების საჭიროების კოეფიციენტები.

სტატუსი/ასაკო	(0-3)	(4-6)	(7-12)	(13-17)	(18-29)კ	(30-39)კ	(40-59)კ	(60+)კ	(18-29)ქ	(30-39)ქ	(40-59)ქ	(60+)ქ
ჯანმრთელი	0.21	0.19	0.06	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ ბავშვი	0.22	0.20	0.07	0.10	0	0	0	0	0	0	0	0
შშმ - I ჯგუფი	0	0	0	0	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01
შშმ - II ჯგუფი	0	0	0	0	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01
დევენილი	0.21	0.19	0.06	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
სარეველზე მიჯაჭვული	0.21	0.19	0.06	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ფეხმძიმე	0	0	0	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
მემუბური	0	0	0	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	0.09	0	0	0	0	0	0	0	0
ობოლი	0.21	0.19	0.06	0.09	0	0	0	0	0	0	0	0

3.2 სამედიცინო მომსახურების საჭიროება

სამედიცინო საჭიროებები წინა მეთოდთან შედარებით განსხვავებულადაა შეფასებული. ძველ მეთოდიში სამედიცინო საჭიროებები შედგებოდა: მონიტორინგის, ფსიქოთერაპიის, რეაბილიტაციის, სტომატოლოგიისა და მედიკამენტების საჭიროებებისგან. ყველა ეს საჭიროება გარდა მედიკამენტების საჭიროებისა შეფასებული იყო მიმდინარე ფასებით. მედიკამენტების ხარჯები განსაზღვრული იყო ორგანოთა სისტემური დაავადებების მკურნალობისთვის საჭირო და სტანდარტებით გათვალისწინებული რაოდენობების შეჯერებით მათი გამოყენების სიხშირეებთან გასაშუალოების პრინციპით. ინფორმაციის ნაკლებობისა და იმის გამო რომ სხვადასხვა ადგილებში ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ძველი მეთოდიდან ისეთი ინფორმაცია რომელიც დროთა განმავლობაში ნაკლებად იცვლება და განგვევითარებინა ალტერნატიული მიდგომა. ამას გარდა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების მერე გადავწყვიტეთ ამოგველო ფსიქოთერაპიისა და სტომატოლოგიის საჭიროებები. რეაბილიტაციის საჭიროება შეფასებულია შშმ ბავშვებისთვის ბიუჯეტში მათ რეაბილიტაციაზე გათვალისწინებული თანხის მიხედვით და გავრცელებულია სხვა კატეგორიებზე ძველ მეთოდში არსებული პროპორციების მიხედვით.

დარჩა მონიტორინგისა და მედიკამენტების საჭიროებების შეფასება. ამისათვის ჩვენ ვიყენებთ შემდეგ დაშვებას, რომ 48% მთლიანი სამედიცინო დანახარჯებიდან იხარჯება

მედიკამენტებზე ხოლო 52% მონიტორინგზე. იქნება 48 და 52 თუ 40 და 60, ეს მეთოდში არ ცვლის არაფერს რადგან საბოლოოდ ჩვენ მათ ვკრიბავთ. მიზეზი რატომაც განვაცალკევეთ ეს ორი საჭიროება არის ის რომ ძველ მეთოდში მონიტორინგის ხარჯებისგან განსხვავებით მედიკამენტების ხარჯები გვაქვს ყველა მნიშვნელოვანი კატეგორიისთვის, შემდეგ მათი პროპორციების გამოყენებით (იგულისხმება სხვადასხვა კატეგორიების მედიკამენტების საჭიროებების შეფარდება) ჩვენ შეგვიძლია განვავრცოთ ჩვენი შეფასება ყველა კატეგორიისთვის. შეიძლება მეორე მიდგომის გამოყენებაც: შეგვეფასებინა მთლიანი სამედიცინო მომსახურების ხარჯები ჯანმრთელებისთვის და შემდეგ ძველ მეთოდში არსებული პროპორციით განგვევრცო სხვა კატეგორიებზეც, თუმცა ჩვენი აზრით ძველ მეთოდში მედიკამენტების ხარჯების პროპორციები უფრო სანდო და დროში ნაკლებად ცვალებადია ვიდრე მთლიანი სამედიცინო მომსახურების ხარჯების პროპორციები და ამიტომაც გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა პირველი მიდგომა.

3.2.1 მედიკამენტების საჭიროება

ჩვენი ამოსავალი წერტილია სხვადასხვა კატეგორიებისთვის მედიკამენტების საშუალო საჭიროების შეფასება. ამ სიდიდეს ჩვენ ჯერ შევასებთ ჯანმრთელებისთვის, ხოლო შემდეგ გავავრჩელებთ შეფასებას ჩვენს ყველა კატეგორიაზე წინა მეთოდში არსებული პროპორციების დახმარებით.

ერთ-ერთი მონაცემი რომელსაც გამოვიყენებთ არის მედიკამენტების წილი საერთო სამედიცინო მომსახურებაში. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2013 წლის მოკლე სტატისტიკური მიმოხილვის მიხედვით (იხილეთ ბმული: <http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=681>), მედიკამენტებზე ხარჯების წილი საერთო სამედიცინო მომსახურების ხარჯებში არის დაახლოებით ნახევარი. იმავე დოკუმენტის მიხედვით 2011 წელს ერთ სულზე სამედიცინო ხარჯები დაახლოებით 511 ლარი იყო. სხვა წყაროების მიხედვით მედიკამენტების ხარჯების წილი საერთო სამედიცინო ხარჯებში 45%-დან 50%-მდეა. „თავისუფალი აზრის სახლის“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარბაზის ექსპერტიზებული დასკვნის („საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის პრობლემები და მისი გავლენა ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობაზე“ N3/22-3, 28.04.2014 წ.) მიხედვით საქართველოში ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების წილობრივი მავნებელი - 48%-ის ტოლია. რადგან 45% ავიღებთ თუ 50% მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს ჩვენ გადავწყვიტეთ აგველო 48%, როგორც ერთადერთი რიცხვითი შეფასება ჩვენ მოძიებულ შეფასებებს შორის.

შემდეგი რაც გვჭირდება შევავსოთ ესაა მედიკამენტების ხარჯების არა წილი არამედ აბსოლუტური მნიშვნელობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წელს (ეს არის არსებული მონაცემებიდან ყველაზე ახალი) საშუალოდ ერთ სულზე სამედიცინო მომსახურების ხარჯები იყო 511 ლარი და აქედან გამომდინარე ჩვენი დაშვებით 511-ის 48% (245.3 ლარი) არის ერთ სულზე მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯი 1 წლის განმავლობაში. საქსტატის მიხედვით 2011-დან 2013 წლამდე მედიკამენტების ინფლაციამ შეადგინა -9.11%, რაც ნიშნავს რომ ჩვენი შეფასებით ერთ სულზე მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯი 1 წლის განმავლობაში იქნება $(1 - 0.0911) * 245.3 = 222.95$ ლარი. უნდა აღინიშნოს რომ ეს

მოიცავს არამხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელ ნაწილს, არამედ ესაა მთლიანი მოსახლეობის საშუალო ხარჯი. ჩვენ გვჭირდება ეს მონაცემი ჯანმრთელებისთვის (უფრო ზუსტად ყველას გარდა შშმ პირებისა). შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიიღეთ დეტალური ინფორმაცია სადაზღვეო ზარალების შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით სადაზღვეო ზარალები 4% იკლებს თუ ამოვიღებთ შშმ პირებს. აქედან გამომდინარე ჩვენ ვუშვებთ რომ ერთ არა შშმ პირზე მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯი 1 წლის განმავლობაში არის დაახლოებით ერთ სულზე 1 წლის განმავლობაში მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯის 96%, ანუ საბოლოოდ ჩვენი შეფასებით ერთ არა შშმ პირზე მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯი 1 წლის განმავლობაში არის $0.96 * 222.95 = 214.02$ ლარი.

ასაკი	კ	ქ
0-1	10	5
2-4	7	3.5
5-9	3.7	3
10-14	3	2.5
15-19	2.2	3
20-24	2.6	3.6
25-29	2	4
30-34	2	4
35-39	2.5	4.5
40-44	3.5	5
45-49	4.5	5.6
50-54	5	6.5
55-59	6.5	7
60-64	7.5	8.5
65-69	8	9.5
70-74	10	10.5

75-79	10.5	11
80-84	12	12
85+	13	13

10a ცხრილში მოყვანილია ჯანმრთელობის რისკის კოეფიციენტები სხვადასხვა სქესისა და ასაკისთვის. მაგალითად ალბათობა იმისა რომ 1 წლამდე ბიჭი ავად

გახდება ორჯერ მეტია ვიდრე ალბათობა იმისა რომ 1 წლამდე გოგო ავად გახდება და ხუთჯერ მეტია ვიდრე ალბათობა იმისა რომ 25-29 წლის კაცი გახდება ავად.შესახებ საქსტატის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილების შესახებ (ჩვენ არ გამოგვიყენებია აბსოლუტური მნიშვნელობები რომლების არცთუ საიმედო ჩანს, გამოვიყენეთ მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიების წილები მთლიან მოსახლეობაში), ჩვენ 10a ცხრილი გადავიყვანეთ მე-10-ე ცხრილში რომელშიც მოცემულია ჯანმრთელი კატეგორიის ყველა ქვეკატეგორია რომელსაც იყენებს ექსპერტულ ნორმატიული მეთოდი. თუ კატეგორიისთვის მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი კატეგორიის რისკის კოეფიციენტის პროპორციულია, მაშინ მეათე ცხრილში მოცემული წონებით დათვლილი შეწონილი საშუალო იქნება მედიკამენტებზე ჯანმრთელი ადამიანის საშუალო წლიური დანახარჯის ტოლი, რომელიც ჩვენი შეფასებით 214.02 ლარის ტოლია. გამოთვლების შედეგები მოცემულია მეათე ცხრილში.

ცხრილი 10a

ცხრილი 11

კატეგორია	რისკი	წონები	წლიური დანახარჯი (ლარი)	ყოველთვიური დანახარჯი (ლარი)
(0-3)	5.867546	0.052561	256.47	21.37
(4-6)	4.106881	0.035051	179.51	14.96
(7-12)	3.079342	0.06332	134.60	11.22
(13-17)	2.648157	0.056898	115.75	9.65
(18-29)კ	2.283522	0.09268	99.81	8.32
(30-39)კ	2.240379	0.071751	97.93	8.16
(40-59)კ	4.833099	0.126756	211.26	17.60
(60+)კ	9.298749	0.076517	406.45	33.87
(18-29)ქ	3.699078	0.08987	161.69	13.47
(30-39)ქ	4.244746	0.07311	185.54	15.46
(40-59)ქ	6.038017	0.144861	263.92	21.99
(60+)ქ	10.32547	0.116624	451.33	37.61

კატეგორია	კოეფიციენტი	ლარი-მკელი	ლარი-ახალი
(0-3)	0.07	13.9	21.37

ამით ჩვენ შევაფასეთ, ჯანმრთელი კატეგორიისთვის ყოველთვიური მედიკამენტების საჭიროება. შემდეგ რაც უნდა შევაფასოთ არის შემდეგი კატეგორიების სამედიცინო საჭიროებები: შშმ I, შშმ II, დევნილები, სარეცელეს მიჯაჭვული, მარტოხელა პენსიონერი, ფეხმძიმე და მარტოხელა მშობელი.

(4-6)	0.05	11.3	14.96
(7-12)	0.04	10	11.22
(13-17)	0.04	10	9.65
შშმ I ჯგუფი	0.15	24.3	30.75
შშმ II ჯგუფი	0.2	30.8	38.97
დევნილი	0.07	13.9	17.59
სარეცელზე მიჯაჭვული	0.15	24.3	30.75
მარტოხელა პენსიონერი	0.15	24.3	30.75
ფეხმძიმე	0.03	8.7	11.01
მემუძური	0.03	8.7	11.01
მარტოხელა მშობელი	0.14	23	29.10
შშმ ბავშვი	0.2	30.8	38.97

ამისათვის ჩვენ გამოვიყენებთ

წინა მეთოდოლოგიის შედეგებს, რომელში მედიკამენტების საჭიროებები განაწილებული იყო მეთერთმეტე ცხრილის მიხედვით. როგორც ვხედავთ 2004-ში ბავშვთა საჭიროებები ჯამში იყო $13.9+11.3+10+10=45.2$ ლარი, მაგრამ ეხლა მათ ჭირდებათ

$21.37+14.96+11.22+9.65=57.2$ ლარი ანუ 1.265 ჯერ მეტი ვიდრე 2004-ში. დანარჩენი

კატეგორიების შესაფასებლად გამოვიყენებთ კოეფიციენტ 1.265-ს, რომელზეც

გავამრავლებთ 2004 ის საჭიროებებს. შედეგები მოცემულია 11ა ცხრილში. აღსანიშნავია რომ

11ბ ცხრილში ჩვენ დამატებით გვაქვს შშმ ბავშვის კატეგორია, რომლის საჭიროება

აღებულია შშმ II -ის საჭიროების ტოლად.

ცხრილი 11a

ცხრილი 121b

კატეგორია	კოეფიციენტი	ლარი
(0-3)	0.07	13.9
(4-6)	0.05	11.3
(7-12)	0.04	10
(13-17)	0.04	10
შშმ I ჯგუფი	0.15	24.3
შშმ II ჯგუფი	0.2	30.8
დევნილი	0.07	13.9
სარეცელზე მიჯაჭვული	0.15	24.3



მარტოხელა პენსიონერი	0.15	24.3
ფეხმძიმე	0.03	8.7
მემუძური	0.03	8.7
მარტოხელა მშობელი	0.14	23

მედიკამენტების საჭიროების შეფასება ამით არ მთავრდება. იმის გამო რომ შეფასებისას ჩვენ გამოვიყენეთ ბევრი დაშვება რომლებიც შეიძლება არცთუ დამაჯერებლად ჟღერდნენ, ვეცადეთ რომ იგივე შეფასება გაგვეკეთებინა ალტერნატიული გზითაც რომელიც ეფუძნება ზემოთ ნახსენებ დაზღვევის ზარალების მონაცემებს (იხილეთ თანდართული დოკუმენტი: "INSURANCE LOSSES"). ეს დაზღვევა ფარავს სამედიცინო

ხარჯების დაახლოებით 80%-ს. ისევ იმ დაშვებით რომ სამედიცინო ხარჯების 48% მედიკამენტებზე მოდის, ცხრილ 11-ში მოცემული ყველა ჯგუფისთვის გარდა დევნილებისა, სარეცელს მიჯაჭვულებისა, მარტოხელა პენსიონერებისა, ფეხმძიმეებისა, მემუძური და მარტოხელა დედებისა, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ რამდენია ყოველთვისური საშუალო ხარჯი მედიკამენტებზე. მათი საჭიროების შეფასება პირველი მიდგომის მსგავსად. საბოლოო შედეგები შეჯამებულია ცხრილში 11.

ცხრილი 11

კატეგორია	ლარი
(0-3)	10.48
(4-6)	3.04
(7-12)	2.43
(13-17)	2.58
შშმპ - I ჯგუფი	17.67
შშმპ - II ჯგუფი	17.52
დევნილი	10.98
სარეცელზე მიჯაჭვული	19.20
მარტოხელა პენსიონერი	19.20
ფეხმძიმე	6.88
მემუძური	6.88
მარტოხელა მშობელი	18.18
შშმპ ბავშვი	23.00

საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ მედიკამენტების საჭიროებების ორი შეფასება: ერთი, მედიკამენტებზე საშუალო წლიური ხარჯის შეფასებით ხოლო მეორე სადაზღვეო ზარალების მიხედვით. ორივე მეთოდში, ჩვენ გამოვიყენეთ წინა მეთოდის პროპორციები იმისათვის რომ შეფასება გაგვევრცელებინა იმ კატეგორიებზე რომელთა შეფასებაც ვერ მოვახერხეთ. მედიკამენტების საჭიროებების საბოლოო შეფასებისთვის ჩვენ ორი მეთოდით მიღებული შეფასებების საშუალოს ავიღებთ. უნდა აღინიშნოს რომ გასაშუალოების შემდეგ თითოეული კატეგორიის საჭიროებებს გამოვაკლებთ 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის მედიკამენტების საჭიროებებს. (5.39 ლარი რომელიცაა 11.22 ლარის 48%-ია) იმიტომ რომ ჩვენ ეს ხარჯი უკვე გავითვალისწინეთ მომსახურების საჭიროებებში. საბოლოო მედიკამენტების საჭიროებები შეფასებულია მე-12-ე ცხრილში.

ცხრილი 12

კატეგორია	საწყისი შეფასება	დაზღვევის მიხედვით შეფასებული	საშუალო	5.39 -ით ნაკლები	კოეფიციენტი
(0-3)	21.42	10.48	15.95	10.31	0.07
(4-6)	14.99	3.04	9.02	3.38	0.02
(7-12)	11.24	2.43	6.83	1.19	0.01
(13-17)	9.67	2.58	6.12	0.48	0.00
(18-29)კ	8.34	2.27	5.30	-0.34	0.00
(30-39)კ	8.18	3.10	5.64	0.00	0.00
(40-59)კ	17.64	5.74	11.69	6.05	0.04
(60+)კ	33.94	13.17	23.55	17.91	0.12
(18-29)ქ	13.50	4.47	8.99	3.35	0.02
(30-39)ქ	15.49	4.65	10.07	4.43	0.03
(40-59)ქ	22.04	4.38	13.21	7.57	0.05
(60+)ქ	37.69	7.77	22.73	17.09	0.11
ჯანმრთელი					
შშმ ბავშვი	42.91	23.00	32.96	27.32	0.18
შშმ - I ჯგუფი	32.19	17.67	24.93	19.29	0.13
შშმ - II ჯგუფი	42.91	17.52	30.22	24.58	0.16
დევნილი	15.02	10.98	13.00	7.36	0.05
სარეცელზე მიჯაჭვული	32.19	19.20	25.70	20.05	0.13
მარტოხელა პენსიონერი	32.19	19.20	25.70	20.05	0.13
ფეხმძიმე	6.44	6.88	6.66	1.02	0.01
მეძუძური	6.44	6.88	6.66	1.02	0.01
მარტოხელა მშობელი	30.04	18.18	24.11	18.47	0.12
ობოლი	0		0	0	0

3.2.2 მონიტორინგის საჭიროებები.

დაშვებულია რომ მონიტორინგის საჭიროები არის მთელი სამედიცინო საჭიროებების 52%, ხოლო დარჩენილი 48% მოდის მედიკამენტების საჭიროებებზე. აქ არაა გათვალისწინებული რეაბილიტაციის ხარჯები. ასე რომ თითოეული კატეგორიისთვის მედიკამენტების საჭიროებების გამრავლებით $\frac{52}{48}$ -ზე მივიღებთ მონიტორინგის საჭიროებებს. აქ ვაკეთებთ დამატებით ერთ დაშვებას კატეგორიისთვის, ფეხმძიმე. ფეხმძიმე ქალს მედიკამენტებზე ბევრად მეტად სჭირდება მონიტორინგი. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეფასებინა ფეხმძიმეების მონიტორინგის ხარჯები როგორც 275 ლარი წელიწადში (5 ვიზიტი ფეხმძიმობისას, თითო ღირებულებით 55 ლარი -ყველაზე იაფი ფორმა ექიმთან ვიზიტისა რომელიც მოიცავს გამოკვლევებს და ექოსკოპიას). საბოლოო შედეგები შეჯამებულია ცხრილში 13.

კატეგორია	საწყისი შეფასება	სადაზღვეოს დანაკარგები	საშუალო	5.83 - ლარით ნაკლები (11.22 ის 52%)	კოეფიციენტი
(0-3)	21.73	11.35	16.54	10.71	0.07
(4-6)	15.21	3.30	9.26	3.43	0.02
(7-12)	11.41	2.63	7.02	1.19	0.01
(13-17)	9.81	2.79	6.30	0.47	0.00
(18-29)კ	8.46	2.46	5.46	-0.37	0.00
(30-39)კ	8.30	3.36	5.83	0.00	0.00
(40-59)კ	17.90	6.22	12.06	6.23	0.04
(60+)კ	34.44	14.26	24.35	18.52	0.12
(18-29)ქ	13.70	4.85	9.27	3.44	0.02
(30-39)ქ	15.72	5.04	10.38	4.55	0.03
(40-59)ქ	22.37	4.74	13.55	7.72	0.05
(60+)ქ	38.25	8.42	23.33	17.50	0.12
ჯანმრთელი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
შშმ ბავშვი	42.56	24.92	33.74	27.91	0.19
შშმ - I ჯგუფი	31.92	19.14	25.53	19.70	0.13
შშმ - II ჯგუფი	42.56	18.98	30.77	24.94	0.17
დევნილი	14.90	11.90	13.40	7.57	0.05
სარეცელზე მიჯაჭვული	31.92	20.80	26.36	20.53	0.14
მარტოხელა პენსიონერი	31.92	20.80	26.36	20.53	0.14
ფეხმძიმე	6.38	7.45	6.92	1.09	0.01
მეძუძური	6.38	7.45	6.92	1.09	0.01
მარტოხელა მშობელი	29.79	19.69	24.74	18.91	0.13
ობოლი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

3.2.3 რეაბილიტაციის საჭიროებები

რეაბილიტაციის საჭიროებების შეფასება ხდება ბიუჯეტში შშმ ბავშვთა რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხის მიხედვით რომელიც წელიწადში 1,681,000 ლარს შეადგენს. შშმ ბავშვების რაოდენობაა 9,000, რაც ნიშნავს რომ ერთ შშმ ბავშვზე, წელიწადში მოდის $\frac{1681000}{9000}=186.78$ ლარი, ანუ თვეში $\frac{186.78}{12} = 15.56$ ლარი. წინა შეფასებაში შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის საჭიროებები შშმ მეორე ჯგუფის რეაბილიტაციის საჭიროებების, შშმ პირველი ჯგუფის რეაბილიტაციის საჭიროებების ნახევრის და სარეცელს მიჯაჭვულის რეაბილიტაციის საჭიროებების 60%-ის ტოლი იყო. ჩვენ ეს პროპორციები გამოვიყენეთ რეაბილიტაციის საჭიროებების შეფასების გასავრცობად, შედეგები მოცემულია მე-14-ე

ცხრილში

ცხრილი 14

კატეგორია	ლარი	კოეფიციენტი
შშმპ I ჯგუფი	31.12	0.21
შშმპ II ჯგუფი	15.56	0.1
შშმპ ბავშვი	15.56	0.1
სარეცელზე მიჯაჭვული	25.93	0.17

3.3 საბოლოო სამედიცინო საჭიროებები

საბოლოო სამედიცინო საჭიროებები წარმოადგენს მედიკამენტების, მონიტორინგისა და რეაბილიტაციის საჭიროებების ჯამს. იმ შემთხვევაში თუ ადამიანი ერთდოულად ორ კატეგორიაში ხვდება, გამოყენებული იქნება, უმაღლესი ფარავს უმცირესს პრინციპი. სამედიცინო საჭიროებები შეჯამებულია ცხრილებში 15 და 16

ცხრილი 15

კატეგორია	მონიტორინგი	მედიკამენტები	რეაბილიტაცია	ჯამი	კოეფიციენტი
(0-3)	11.17	10.31	0.00	21.47	0.14
(4-6)	3.66	3.38	0.00	7.04	0.05
(7-12)	1.29	1.19	0.00	2.49	0.02
(13-17)	0.52	0.48	0.00	1.00	0.01
(18-29)კ	-0.36	-0.34	0.00	-0.70	0.00
(30-39)კ	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
(40-59)კ	6.56	6.05	0.00	12.61	0.08
(60+)კ	19.41	17.91	0.00	37.32	0.25
(18-29)ქ	3.63	3.35	0.00	6.97	0.05
(30-39)ქ	4.80	4.43	0.00	9.23	0.06
(40-59)ქ	8.20	7.57	0.00	15.77	0.11
(60+)ქ	18.51	17.09	0.00	35.60	0.24
ჯანმრთელი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
შშმ ბავშვი	29.59	27.32	15.56	72.48	0.48
შშმპ-I ჯგუფი	20.90	19.29	31.13	71.31	0.48
შშმპ-II ჯგუფი	26.63	24.58	15.56	66.77	0.45
დევნილი	7.98	7.36	0.00	15.34	0.10
სარეცელზე მიჯაჭვული	21.73	20.05	25.94	67.72	0.45
მარტოხელა პენსიონერი	21.73	20.05	0.00	41.78	0.28
ფეხმძიმე	16.81	1.02	0.00	17.82	0.12
მეძუძური	1.10	1.02	0.00	2.12	0.01
მარტოხელა	20.01	18.47	0.00	38.48	0.26

შშმპ - I ჯგუფი	0	0	0	0	1.64	1.60	1.56	1.50	1.50	1.50	1.50	1.50
შშმპ - II ჯგუფი	0	0	0	0	1.56	1.51	1.47	1.41	1.41	1.41	1.41	1.41
დეენილი	1.39	1.28	1.15	1.30	1.14	1.10	1.05	1.13	0.99	0.99	0.99	1.12
სარეცელზე მიჯაჭვული	1.65	1.58	1.46	1.68	1.58	1.53	1.49	1.43	1.42	1.40	1.38	1.38
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	1.33	1.29	1.25	1.18	1.17	1.16	1.14	1.12
ფეხმძიმე	0	0	0	1.32	0	0	0	0	1.11	1.11	1.11	0
მეძუძური	0	0	0	1.21	0	0	0	0	1.08	1.09	1.13	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	1.44	0	0	0	0	1.14	1.14	1.14	0
ობოლი	1.36	1.20	1.04	1.21	0	0	0	0	0	0	0	0

4.1 ძველ კოეფიციენტებთან შედარება

ამ ქვეთავში შევეცდებით ავხსნათ რამოდენიმე მიზეზი რომელმაც მნიშვნელოვნად გამოიწვია კოეფიციენტების შეცვლა. მე-18-ე ცხრილში მოცემულია კოეფიციენტების პროცენტული ცვლილებები.

ცხრილი 18

სტატუსი/ასაკი	(0-3)	(4-6)	(7-12)	(13-17)	(18-29)კ	(30-39)კ	(40-59)კ	(60+)	(18-29)ქ	(30-39)ქ	(40-59)ქ	(60+)
ჯანმრთელი	17	18	9	18	0	0	8	27	5	7	13	28
შშმ ბავშვი	-7	1	-4	3	0	0	0	0	0	0	0	0
შშმპ - I ჯგუფი	0	0	0	0	-9	-10	-10	-11	-10	-9	-8	-7
შშმპ - II ჯგუფი	0	0	0	0	-9	-9	-9	-11	-9	-8	-7	-5
დეენილი	4	11	-1	5	-10	-11	-11	1	-11	-10	-8	7
სარეცელზე მიჯაჭვული	-8	-2	-10	0	-12	-12	-12	-12	-13	-13	-13	-12
მარტოხელა პენსიონერი	0	0	0	0	-10	-11	-11	-12	-12	-12	-12	-11
ფეხმძიმე	0	0	0	36	0	0	0	0	21	24	27	0
მეძუძური	0	0	0	20	0	0	0	0	13	17	24	0
მარტოხელა მშობელი	0	0	0	37	0	0	0	0	14	16	19	0
ობოლი	3	10	-4	5	0	0	0	0	0	0	0	0

საკმაოდ მაღალია კოეფიციენტების ზრდა ბავშვთა კატეგორიაში (ასაკობრივი ჯგუფები :0-3, 4-6, 7-12, და 13-17). (0-3) და (4-6) კატეგორიაში ეს გამოწვეულია საბავშვო ბაღის ხარჯებით. წინა მეთოდში საბავშვო ბაღის გადასახადი შეცდომით იქნა გამოტოვებული (იყო ნახსენები მთოდის აღწერაში მაგრამ გამოვლენებში არ იყო გათვალისწინებული), რამაც ცხადია ცვლილება კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა. (0-3) კატეგორიაში კოეფიციენტის ზრდის

ნაწილი მოდის მონიტორინგის ხარჯების ზრდაზე. სკოლის ასაკის კატეგორიებისთვის (7-12 და 13-17) კოეფიციენტის ზრდა გამოიწვია სახელმძღვანელოების ფასებმა.

როგორც მე-17-ე და მე-18-ე ცხრილებიდან ჩანს, შშმ კატეგორიების კოეფიციენტები შემცირდა, თუმცა, გამოთვლები რომ გაკეთებულიყო წინ მეთოდის ანალოგიურად გვექნებოდა არა კლება, არამედ მცირე ზრდა. წინა მეთოდში გათვალისწინებული იყო სტომატოლოგის ხარჯები წელიწადში 50 ლარის ოდენობით, მაგრამ გამოთვლისას აღებული იყო როგორც 50 ლარი თვეში, რამაც იმ კატეგორიების კოეფიციენტების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია და ეს ზრდა დაბალანსებული იყო ოპტიმალური კორექციებით, რაც ნიშნავდა ხარჯის დაახლოებით 60%-ის გათვალისწინებას, თუმცა საბოლოოდ მაინც კოეფიციენტები მაინც გადაფასებული იყო.

იგივე მიზეზითაა გამოწვეული მარტოხელა პენსიონერების კოეფიციენტების კლება. ამას ემატება ფსიქოთერაპიის საჭიროების ამოღება. ამ უკანასკნელმა გამოწვია სხვა კატეგორიების კოეფიციენტების კლებაც, კერძოდ: ობლების, სარეცელს მიჯაჭვულების და დევნილების.

ფეხმძიმეების კოეფიციენტის ზრდა გამოიწვია სამედიცინო საჭიროებების ნაწილში მონიტორინგის საჭიროების გათვალისწინებამ.

ასევე მნიშვნელოვანი ზრდაა 60+ კატეგორიებში რაც გამოწვეულია ამ კატეგორიებისთვის სამედიცინო მომსახურების, კერძოდ მონიტორინგის საჭიროებების ზრდით. განსხვავებული მიდგომის გამო ამ კატეგორიებისთვის მონიტორინგის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული. იგივე მიზეზითაა კოეფიციენტები გაზრდილი შემდეგი კატეგორიებისთვის (40-59)კ, (40-59)ქ (18-29)ქ და (30-39)ქ.

თუ ავიღებთ ჯამში 80-ივე კატეგორია და შევკრიბავთ მათ საჭიროებებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ თუ ავიღებთ თითო კატეგორიიდან თითო წარმომადგენელს და შევკრიბავთ მათ ყოველთვიურ საჭიროებებს, მივიღებთ რომ მათ სჭირდებათ 103. 85-ჯერ ჯანმრთელი შრომის უნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი რაც ჯამში შეადგენს $103.85 * 149.6 = 15,536$ ლარს. წინა შეფასებისთვის ეს მაჩვენებელი 105.76-ის ტოლი რაც ჯამში შეადგენდა $105.76 * 130 = 13,749$ ლარს.